ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | გაზაფხული 2025
U8 (VI, VII, VIII კლასები)

11 მაისი

1. 5-ქულიანი შეკითხვა
შეერთებული შტატების საფეხბურთო ნაკრების ლიდერმა ლენდონ დონოვანმა მიიღო იგივე მეტსახელი, რაც პერსონაჟმა, რომელიც დაიბადა 1918 წლის 4 ივლისს. სიმბოლურია, რომ 1941 წლის კომიქსში ამ პერსონაჟმა ადოლფ ჰიტლერს მუშტი გაარტყა. დაასახელეთ ეს პერსონაჟი ორი სიტყვით.

პასუხი: კაპიტანი ამერიკა
კომენტარი: ამერიკის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანმა მეტსახელი მიიღო კომიქსების პერსონაჟ კაპიტანი ამერიკასგან. კაპიტანი ამერიკა დაიბადა 4 ივლისს, ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს. სიმბოლურია, რომ 1941 წელს, როცა შეერთებული შტატები მსოფლიო ომში ჩაერთო, კომიქსში კაპიტანი ამერიკა მუშტს ურტყამს ჰიტლერს.
წყარო: ბმული ბმული

2. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

ერთი ნაწარმოების ილუსტრაციების შექმნისას მხატვარს სურდა, ეჩვენებინა პერსონაჟების არაკეთილსინდისიერი ხასიათი, ამიტომ პერსონაჟების იქსები მნიშვნელოვნად გაზარდა. მასალაზე გამოსახული ფოტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, პირდაპირი მნიშვნელობით იქსზეა გადაღებული. დაწერეთ იქსი ექვსასოიანი სიტყვით.

პასუხი: ცხვირი

კომენტარი: პინოქიოს მაგალითზე ცნობილია, რომ დიდი ცხვირი არაგულწრფელობაზე მიანიშნებს. ამიტომ, ილუსტრაციის ავტორმა არაკეთილსინდისიერ პერსონაჟებს ცხვირები გაუდიდა. მასალაზე გამოსახული ფოტო გადაღებულია რაშმორის მთაზე, შეერთებული შტატების პრეზიდენტების მემორიალზე; ფოტო პირდაპირ პრეზიდენტ ლინკოლნის ცხვირიდანაა გადაღებული და მარცხენა მხარეს სხვა პრეზიდენტის ცხვირიც მოჩანს.
წყარო: ბმული ბმული

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ეს 1926 წელს დაბადებული ადამიანი ალაბამას უნივერსიტეტში სამართალს სწავლობდა. ამ ადამიანის შესახებ დაწერილ სტატიაში ნათქვამია, რომ გასაკვირი არაა, რაოდენ დეტალურად აღწერს ის სასამართლოს საქმეს. დაასახელეთ ეს ადამიანი.

პასუხი: ჰარპერ ლი
კომენტარი: მწერალი უნივერსიტეტში სამართალს სწავლობდა, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ თავის წიგნში სასამართლოს საქმე ასე დეტალურად აქვს აღწერილი. ალაბამას ხსენება დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა, რადგან წიგნში "ნუ მოკლავ ჯაფარას" მოქმედება ჰარპერ ლის მშობლიურ ალაბამას შტატში ვითარდება.
წყარო: ბმული

4. 5-ქულიანი შეკითხვა
ცნობილმა მოდელმა, სახელად დოვიმამ, ბავშვობაში წინა კბილი დაიზიანა, რამაც ძალიან დააკომპლექსა და სურათებში მაქსიმალურად ერიდებოდა მის გამოჩენას. სურათებში მისი გამომეტყველების გამო დოვიმას ხშირად ადარებდნენ ცნობილ ნახატს. დაასახელეთ ეს ნახატი ანბანის მეზობელ ასოებზე დაწყებული ორი სიტყვით.

პასუხი: მონა ლიზა
კომენტარი: დოვიმა ერიდებოდა დაზიანებული კბილის გამოჩენას, ამიტომ ფოტოებში ძალზე მოკრძალებული ღიმილით გამოირჩეოდა, რის გამოც იგი ლეონარდო და ვინჩის ცნობილ ნახატს, მონა ლიზას შეადარეს.
წყარო: ბმული

5. 6-ქულიანი შეკითხვა
ფილმ "გლადიატორი 2-ის" გამოსვლას ინტერნეტში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. იუთუბ ვიდეოს კომენტარში ერთმა მომხმარებელმა იხუმრა, რომ იმედია, თრეილერისგან განსხვავებით, მთავარი პერსონაჟი დაიმსახურებს იქსს, თორემ შესაძლოა სიცოცხლეს გამოეთხოვოს. დაწერეთ იქსი ქართული ან ინგლისური სიტყვით.

პასუხი: მოწონება
ჩათვლა: Like, ლაიქი
კომენტარი: გლადიატორების ბრძოლის ბოლოს იმპერატორი ზემოთ ან ქვემოთ მიშვერილი ცერა თითის, ანუ ე.წ. "ლაიქის" ან "დისლაიქის" სიმბოლოს ჩვენებით წყვეტდა მონაწილის სიკვდილ-სიცოცხლეს. იუზერმა იხუმრა, რომ ფილმის თრეილერმა არც ისე ბევრი ლაიქი დაიმსახურა, ხოლო თუ თვითონ გლადიატორი ლაიქს ვერ დაიმსახურებს, სიცოცხლეს გამოესალმება.

წყარო: ბმული ბმული

6. 7-ქულიანი შეკითხვა
წიგნში “ნუ მოკლავ ჯაფარას” იმის ახსნისას, რომ ატიკუსის ოთახში სულ რამდენიმე არაფრით გამორჩეული ნივთია, ნახსენებია იქსიც. საქართველოში მდებარეობს “დედოფლების ბაღი”, რომელიც იქსთან დაკავშირებულ დაწესებულებას ესაზღვრება. დაასახელეთ იქსი შვიდასოიანი სიტყვით.

პასუხი: ჭადრაკი
კომენტარი: ატიკუსს სასამართლოში თავისი ოთახი აქვს, რომელშიც სამუშაო სივრცესთან დაკავშირებული სულ რამდენიმე ძირითადი ნივთი აწყვია, მაგალითად, ქუდების საკიდი და ჭადრაკის დაფა. “დედოფლების ბაღი” ჭადრაკის ქართველი დედოფლების სახელობისაა და თბილისის ჭადრაკის სასახლეს ესაზღვრება.
წყარო: “ნუ მოკლავ ჯაფარას”, ბმული

7. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

ერთ ფილმში, კომპანია, რომელიც იქსების გაყიდვაზე მუშაობს, იკეტება, რადგან იქსის ფუნქცია ტელეფონმა შეითავსა. დარიგებულ მასალაზე ხედავთ ჭადრაკის თემატიკით შთაგონებული იქსის ფრაგმენტს. დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით.

პასუხი: საათი
კომენტარი: დარიგებულ მასალაზე პაიკი 1-იანს განასახიერებს, ორი პაიკი 2-იანს. კუ ჭადრაკში სამი პაიკის ექვივალენტია, ისევე როგორც მხედარი, ხოლო ეტლი ხუთ პაიკს უდრის. როგორც ხედავთ, ფიგურები წრიულადაა განლაგებული, როგორც საათის ციფრები. ფილმში საათების გამყიდველი კომპანია იხურება, რადგან საათს ტელეფონშიც ვამოწმებთ.
წყარო: ბმული, ფილმი The Internship

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]

მიუხედავად იმისა, რომ ავატარი როკუ ცეცხლის ბრწყინვალე მბრძანებელი იყო, ის თავის კუნძულზე გარდაიცვალა აქტიურ იქსთან “ბრძოლისას”. ერთი წიგნის ძალიან გაბრაზებული პერსონაჟი თავს ადარებს იქსს. დაწერეთ იქსი შვიდასოიანი სიტყვით.

პასუხი: ვულკანი

კომენტარი: ავატარი როკუ ცეცხლის სამეფოდან იყო და ცეცხლს განსაკუთრებით კარგად იმორჩილებდა. ამის მიუხედავად, ასაკში შესული როკუ აქტიური ვულკანის ამოფრქვევას შეეწირა, მაშინ, როცა თანასოფლელების გადარჩენას ცდილობდა. წიგნის პერსონაჟი ძალიან გაბრაზებულია და სადაცაა ამოხეთქავს, ისე, როგორც ვულკანი.
წყარო: Sherman Alexie “The Absolutely True Diary of a Part-Time Indian”, ბმული

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ინგლისური ვიკიპედიის სტატიაში აღნიშნულია, რომ იქსის დღე არ უნდა აგვერიოს ღვეზელების ეროვნულ დღესასწაულში. იქსში შემავალი ციფრების გამო, იქსის დღე აღინიშნება მარტის 14-ში. დაასახელეთ იქსი ერთი ან ორი სიტყვით.

პასუხი: პი
ჩათვლა: პი რიცხვი
კომენტარი: ინგლისურ ენაში “ღვეზელების დღე” არის Pie Day, რაც თანაჟღერადია სიტყვებისა “პის დღე”. მათემატიკური პი რიცხვის დღე 14 მარტს აღინიშნება. ჩვენ განზრახ გამოვაცხადეთ სიტყვები “მარტის 14”, რადგან მარტი მესამე თვეა, ხოლო პი რიცხვის პირველი სამი ციფრია 3, 1 და 4.
წყარო: ბმული

10. 5-ქულიანი შეკითხვა
ინდოეთის საფეხბურთო ლიგის ერთ მატჩში მსაჯებს ყვითელი მაისურების შავით შეცვლა მოუწიათ, რადგან იქსები ვერაფრით მოიშორეს. იქსს არ შეუძლია თავისზე დიდ მტერთან ერთი ერთზე გამკლავება. ამიტომ, ასეთი მტრის წინააღმდეგ იქსები ერთ გუნდად იკვრებიან და დედოფალს იცავენ. დაასახელეთ იქსი სიტყვით, რომელშიც სამივე ხმოვანი სხვადასხვაა.

პასუხი: ფუტკარი
კომენტარი: ფუტკრებს მკვეთრი ფერები იზიდავთ, ამიტომ მსაჯებს მაისურის გამოცვლა მოუწიათ, რათა ფუტკრები სხვაგან გაფრენილიყვნენ. თავისზე დიდი მტრის, მაგალითად, კრაზანის წინააღმდეგ ფუტკრები ერთ გუნდად იკვრებიან და დედოფლის გადასარჩენად კრაზანას ახრჩობენ.
წყარო: ბმული ბმული

11. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთ ვიდეოთამაშში ვხვდებით უბანს, სახელად “უოტსონი”. უბანში ყველა მისიის შესრულების შემდეგ, მოთამაშე იღებს მიღწევას (ეჩივმენთს) სახელად - “მარტივია”, რაც წარმოადგენს ალუზიას ცნობილ ნაწარმოებზე. დაწერეთ ხმოვანზე დაწყებული სიტყვა, რომელიც შევცვალეთ სიტყვით “მარტივია”.

პასუხი: ელემენტარულია
კომენტარი: სიმბოლურია, რომ უბანს “უოტსონი” ჰქვია. მიღწევის სახელი ალუზიაა შერლოკ ჰოლმსთან ასოცირებულ საფირმო ფრაზაზე, რომელიც შერლოკის მეგობარს ექიმ უოტსონს მიემართება - “ელემენტარულია, უოტსონ!”. “მარტივია” ჩასანაცვლებელი იყო სიტყვით “ელემენტარულია”.
წყარო: ბმული ბმული

12. 7-ქულიანი შეკითხვა
დოკუმენტური ფილმის გმირი 1980-იანი წლების ბოლოს დაიბადა. მისი დაბადების პარალელურად მიმდინარე მოვლენებზე საუბრისას, ეკრანზე ჩნდება კადრები, თუ როგორ ინგრევა იქსი და როგორ ხვდებიან ერთმანეთს განსხვავებულ ფორმებში ჩაცმული ადამიანები. დაწერეთ იქსი ორი სიტყვით.

პასუხი: ბერლინის კედელი
კომენტარი: გმირი 1989 წელს დაიბადა, იმ წელს, როდესაც დაინგრა ბერლინის კედელი. კადრში ჩანს, როგორ ესალმებიან ბერლინის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხრიდან გადმოსული სამხედროები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, განსხვავებული უნიფორმები აცვიათ.
წყარო: ფილმი "The Remarkable Life of Ibelin"

13. 5-ქულიანი შეკითხვა
ნოდარ დუმბაძის მოთხრობის, სახელად "იქსის" შესახებ ერთ ვიდეოში ნათქვამია, რომ სათაურმა შეიძლება დაგვაბნიოს. სინამდვილეში მოთხრობა არა მძიმე დანაშაულზე, არამედ ნათესავურ კავშირზეა. სხვა ნაწარმოების პერსონაჟი იქსს ომის საღებავს უწოდებს. დაწერეთ იქსი.

პასუხი: სისხლი
კომენტარი: სათაურის გამო ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ მოთხრობაში სისხლიანი გარჩევები შეიძლება შეგვხვდეს, თუმცა სინამდვილეში მოთხრობა სისხლით ნათესავობის თემას ეხება. სისხლისღვრა ომის თანმდევია, ამიტომ სისხლს ომის საღებავი უწოდეს.
წყარო: Sherman Alexie "The Absolutely True Diary of a Part-Time Indian", ბმული

14. 6-ქულიანი შეკითხვა
ვაგრძელებთ! ყურადღება, შეკითხვაში ცვლილებაა.
ერთ ნაწარმოებში ღამურა მოხსენიებულია, როგორც პატარა, მფრინავი მზე. დაწერეთ სიტყვა, რომელიც შევცვალეთ სიტყვით "ღამურა".

პასუხი: ციცინათელა
კომენტარი: ამ შეკითხვით ჩვენ გავაგრძელეთ ქართული ნაწარმოებების თემატიკა. ეს მანათობელი არსებები მზის ჩასვლის შემდეგ შეინიშნებიან და მართლაც ჰგვანან მცირე ზომის მზეს. შეკითხვის ტექსტში აკაკი წერეთლის ერთი ნაწარმოების სახელი, "ციცინათელა", შევცვალეთ მისი სხვა ნაწარმოების სახელით - "ღამურა".
წყარო: სერიალი "Maya the Bee"

15. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი იუმორისტი ხუმრობს, რომ რადიაცია ქალ და კაც მეცნიერებს სრულიად საპირისპიროდ ეპყრობა. ქალებზე საუბრისას ის ახსენებს მარია კიურის, რომელიც რადიაციულ ნივთიერებებთან მუშაობისას დაავადდა და გარდაიცვალა. კაცებზე საუბრისას ის ახსენებს ერთსა და იმავე ასოზე დაწყებულ სახელსა და გვარს. დაწერეთ ეს სახელი და გვარი ან მასთან დაკავშირებული ხუთასოიანი მეტსახელი.

პასუხი: ბრიუს ბენერი
ჩათვლა: ჰალკი

კომენტარი: დღევანდელი თამაში დავიწყეთ და დავასრულეთ კომიქსების პერსონაჟებით. იუმორისტი ხუმრობით ადარებს ერთმანეთს რეალურ მეცნიერს, რომელიც რადიაციამ დააავადა, და მეცნიერ პერსონაჟს, რომელმაც რადიაციული დასხივების გზით სუპერ შესაძლებლობები მოიპოვა. კომიქსებში ბრიუს ბენერი მეცნიერია, რომელიც რადიაციის მეშვეობით ჰალკად იქცა.
წყარო: ბმული